სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**კონფლიქტოლოგია** Conflictology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**კონფლიქტოლოგიის დოქტორი** Doctor of Conflictology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან.** **სასწავლო კომპონენტი** (35 კრედიტი[1], ECTS) მოიცავს შემდეგ აქტივობებს: ***სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 30 კრედიტი*** ✓ კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები- 5 კრედიტი ✓ კონფლიქტოლოგია[2] - 5 კრედიტი ✓ დარგობრივი სემინარი - 15 კრედიტი ✓ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი ***არჩევითი სასწავლო კომპონენტები: 5 კრედიტი*** ✓ სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების გაღრმავებული კურსი - 5 კრედიტი ✓ სხვა არჩევითი სასწავლო კურსი - საქართველოს ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი შესაბამისი საფეხურის (დოქტორანტურის) სასწავლო კურსი - 5 კრედიტი **კვლევითი კომპონენტი** მოიცავს: ✓ სამეცნიერო - კვლევითი პროექტი 1 ✓ სამეცნიერო - კვლევითი პროექტი 2 ✓ სამეცნიერო - კვლევითი პროექტი 3 ✓ სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1, 2 და 3 მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას მოიცავს და წარმოადგენს დაცვის წინაპირობას, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება. *დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მინიმუმ ექვსი (3 წელი) სემესტრია. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ სტუდენტს ეძლევა არაუმეტეს 4 დამატებითი სემესტრის გავლის უფლება.*

[1] ამოქმედდეს 2025 წლის გაზაფხულის სემესტრიდან

[2] სავალდებულოა 2025 წლის გაზაფხულის სემესტრიდან

სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ /კოორდინატორი	**გუგული მაღრაძე,** ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რევაზ ჯორბენაძე,** ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	➢ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა „კონფლიქტოლოგიაში“ ან სხვა სპეციალობაში ➢ ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით); ➢ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; ➢ სადოქტორო - კვლევითი პროექტის წარმოდგენა (იხ. დანართი №1); ➢ კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება; ➢ ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო - კვლევით პროექტზე) კომისიასთან. *გასაუბრება სპეციალობაში არის 100 ქულიანი და წარმოადგენს აპლიკანტის საბოლოო შეფასების 100 %-ს; საიდანაც 40 % არის სადოქტორო - კვლევითი პროექტის შეწონილობა, ხოლო 60 % კი - კონკრეტულად გასაუბრების, საიდანაც ვლინდება თუ რა ცოდნისა და უნარების მატარებელია აპლიკანტი.*
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**კონფლიქტოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:** ➢ დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და მაღალი დარგობრივი კომპენტეციების მქონე სპეციალისტების, მკვლევრების მომზადება, რომელთაც შეუძლიათ - ახალი ცოდნის შექმნის მიზნით და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით - დაგეგმონ და განახორციელონ კვლევითი სამუშაოები (კონფლიქტოლოგიის დარგის თანამედროვე თეორიული ცოდნისა და კვლევითი სიახლეების ინტეგრირებით); ➢ მოამზადოს მკვლევარი/პრაქტიკოსები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი ცოდნის გამოყენება, ახალი ცოდნის შექმნა და გავრცელება - ინტერპერსონალური, ინტერჯგუფური, ოჯახური, საგანმანათლებლო სისტემის, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური, სამხედრო (სტრატეგიული და

	უსაფრთხოების, ტერორიზმთან ბრძოლის, თავდაცვითი პოლიტიკის), ბიზნეს თუ სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებისას; ➢ ხელი შეუწყოს დოქტორანტებს წარმართონ სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოები - დარგისა (კონფლიქტების მოგვარების და პრევენციის, მშვიდობის მშენებლობის და შენარჩუნების და სხვ.) და მის მომიჯნავე სფეროებში - მაღალკვალიფიციურ დონეზე და შეიმუშაონ შესაბამისი რეკომენდაციები; ➢ მოამზადოს დოქტორანტები სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისთვის, რათა მათ შეძლონ ერთი მხრივ, დარგის მომავალი სპეციალისტების მომზადება, ხოლო მეორე მხრივ, წვლილი შეიტანონ დარგისა და სოციუმის განვითარებაში პრაქტიკული საქმიანობით; ➢ დოქტორანტებმა და შემდგომში უკვე კონფლიქტოლოგიის დოქტორებმა, წვლილი შეიტანონ სხვადასხვა სახის/ტიპის თანამედროვე კონფლიქტების გადაჭრის პროცესში და ხელი შეუწყონ დარგის განვითარებას.
სწავლის შედეგები	**პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:** *ცოდნა და გაცნობიერება* 1. კრიტიკულად აფასებს, კომპლექსურად განაზოგადებს კონფლიქტების სფეროში არსებულ უახლეს თეორიებს და მიდგომებს ინტერდისციპლინური რაკურსით; 2. სისტემურად განმარტავს კონფლიქტების მართვის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კონცეფციებს და პარადიგმებს, მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს; 3. ცოდნაზე დაფუძნებული ახალი იდეების შეჯამებით, კონფლიქტური სიტუაციის დიაგნოსტირებით, განსაზღვრავს პრობლემას და დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე ეძიებს პრობლემური სიტუაციის ახლებურად გადაჭრის გზებს; *უნარი* 4. დამოუკიდებლად, ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, გეგმავს, წარმართავს და უძღვება დარგთან დაკავშირებულ ინოვაციურ, მეცნიერულ და პრაქტიკაზე ფოკუსირებულ კვლევით საქმიანობას; თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით მოიძიებს და სხვადასხვა რაკურსით გამოიყენებს კონფლიქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას; 5. შეიმუშავებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ, თანამედროვე კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებზე დაყრდნობით ახლებურ მიდგომებს; ავითარებს ახალ იდეებს კონფლიქტოლოგიის დარგში სწავლა-სწავლების, შემდგომი კვლევებისა და პროფესიული საქმიანობის

	გაღრმავების მიზნით; შეიმუშავებს დარგისთვის შესაბამის რეკომენდაციებს; 6. აკადემიური/პროფესიული საქმიანობისას წარმოადგენს დარგის ორიგინალურ მეთოდებს, მიდგომებს, კონცეფციებს და საკუთარი წვლილი შეაქვს მის განვითარებაში; *პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა* 7. დარგთან მიმართებით, დასაბუთებული და არგუმენტირებული დასკვნების საფუძველზე, ამზადებს წერილობით და ზეპირ ანგარიშებს, რომელთაც პრეზენტაციის სახით წარუდგენს აკადემიურ და ფართო საზოგადოებას. ერთვება დებატებსა და დისკუსიებში და იცავს საკუთარ პოზიციას აკადემიური და პროფესიული ეთიკის კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; 8. მონაწილეობას იღებს კულტურათა დიალოგის პროცესში და აღიარებს კულტურათა მრავალფეროვნებას; იცავს, აფასებს და პატივს სცემს სხვათა პროფესიულ ღირებულებით ორიენტაციებს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** ლექცია; სემინარი; ჯგუფური მუშაობა; ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდი; პრეზენტაცია; როლური თამაშები; სიტუაციური ანალიზი; დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტების მეთოდი; დისკუსია/დებატები; წიგნზე მუშაობა; შემთხვევის ანალიზი (Case study) ; გონებრივი იერიში (Brain storming); პრაქტიკა და გამოცდილებითი სწავლა-სწავლების მეთოდი; ელექტორნული სწავლება (E-learning)[3]. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა აქტივობებს მათი კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება (დანართი 1 - მ.16 და მ.17) ითვალისწინებს: ა) შუალედურ (რეიტინგულ) შეფასებას; ბ) დასკვნით შეფასებას.

[3]

- სინქრონული და/ან ასინქრონული;
- შესაფერისი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების შერჩევა კურსის მასალის გადასაცემად (მაგ: POWER POINT ლექციები, ვიდეო კონფერენცია და სხვ.);
- კურსის პროფილის შესაბამისობა (მაგ: სტრუქტურა, ინტერფეისი, ნავიგაცია, ონლაინ აქტივობების ინსტრუქცია).

	შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული ქულებში) საბოლოო შეფასებაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) **(A) ფრიადი** – 91-100 ქულა; ა.ბ) **(B) ძალიან კარგი** – 81-90 ქულა; ა.გ) **(C) კარგი** – 71-80 ქულა; ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – 61-70 ქულა; ა.ე) **(E) საკმარისი** – 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) **(FX) ვერ ჩააბარა** – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) **(F) ჩაიჭრა** – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ **5 დღეში.** სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა და დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით. **დარგობრივი სემინარის შეფასება** **დოქტორანტის სასემინარო ნაშრომის შეფასების სისტემა ორ ეტაპიანია:**

	1. სასემინარო ნაშრომის შეფასება (ფასდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ) - მაქსიმუმ 60 ქულა; **2.** პრეზენტაციის შეფასება (კომისიის მიერ) - მაქსიმუმ 40 ქულა. **სადისერტაციო ნაშრომის, დისერტაციის შეფასება** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით: **ა)** "summa cum laude" - "ფრიადი": შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** "magna cum laude" - "ძალიან კარგი": შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა; **გ)** "cum laude - "კარგი": შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა; **დ)** "bene" - "საშუალო": საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა; **ე)** [4] "rite" - "დამაკმაყოფილებელი": შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა; **ვ)**[5] "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი": არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა; **ზ)** [6] "sub omni canone": "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

[4] „ა"-„ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

[5] მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი;

[6] „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

	სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესი საჯაროა აკადემიური და უნივერსიტეტის გარე აუდიტორიისათვის.
დასაქმების სფეროები	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების, როგორც კონფლიქტოლოგიის დოქტორების, დასაქმების სფერო ფართოა: ➢ უპირველესად პროგრამა ამზადებს სამეცნიერო მკვლევრებს და სწავლების უმაღლესი განათლების საფეხურის პედაგოგებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში; ➢ როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო ინსტიტუციები; ადგილობრივი თემი; სასწავლო დაწესებულებები და სხვ. ➢ კვლევით ცენტრებში დარგის კომპეტენციის ფარგლებში (მაგ.: დანაშაულის პრევენციის ცენტრი; ICCN კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი; გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი - ICGS და სხვ.) ➢ სხვადასხვა ინსტიტუტებში (მაგ.: თსუ-ს კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი; კონფლიქტების მართვის ინსტიტუტი - ICM Georgia და სხვ.); ➢ ადგილობრივი და საერთაშორისო უსაფრთხოების სამსახურები; ➢ ქვეყნის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის სფერო.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	დოქტორანტურის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტისთვის შეადგენს 1000 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კონფლიქტოლოგია“ ხორციელდება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორ-მასწავლებლებით, ადამინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური მიღწევები და სამეცნიერო საქმიანობა საჯარო ინფორმაციაა და

	ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. *ინტერდისციპლინური მიმართულებიდან პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი აკადემიური პერსონალია:* 1. *გუგული მაღრაძე, პროფესორი* 2. *რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი* 3. *ზურაბ აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი* 4. *თეონა მატარაძე, ასოცირებული პროფესორი* 5. *ია იაშვილი, ასოცირებული პროფესორი* **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** • კონფლიქტოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების 235-ე სამუშაო ოთახი/აუდიტორია (თსუ-ს II კორპუსი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №3), რომელშიც ტარდება ლექცია/სემინარები სტუდენტებთან და სადაც ასევე განთავსებულია კონფლიქტოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური აღჭურვილობა, კომპიუტერები, დარგობრივი ბიბლიოთეკა (ქართულ და უცხოურ ენებზე); • კონფლიქტოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების 234-ე აუდიტორია (თსუ-ს II კორპუსი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №3), რომელიც დატვირთულია სასწავლო ცხრილით; • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №11); • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ქუჩა №11; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, I კორპუსი); • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პლატფორმა; • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს წვდომა აქვთ როგორც ფასიან, ასევე უფასო ელექტრონულ ჟურნალებსა და ბაზებზე: **EBSCO Publishing**, JSTOR, Scopus (ელსევიერის ბაზა), Sciencedirect (ელსევიერის ბაზა), Web of Science (WoS), Cambridge University Journals. (კემბრიჯის უნივერსიტეტის ჟურნალები), SAGE Knowledge --- Springer Link., Erudit, Oxford English Dictionary Online, World Digital Library, Palgrave Connect და სხვ. • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-

	ტექნიკური ბაზა (თსუ -ს VI კორპუსი და ფიზიკის ინსტიტუტი); • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა (მ.ალექსიძის II შესახვევი, №3) და სხვ. *პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თსუ-ს I, II და VI კორპუსებში, რომლებიც განთავსებულია თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე № 1, №3 და № 8 ნომრებში.*
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გაწერილია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტში[7].
დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა	• სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულება (35 კრედიტი); • სამი სამეცნიერო კვლევითი პროექტის წარდგენა დარგობრივი კომისიის წინაშე; • საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება *(თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, დოქტორანტს აქვს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება. სახელდობრ, დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში).*
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის მიზნით სტუდენტმა: • უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ, დამოუკიდებლად მომზადებული ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის

[7] პროგრამული ბიუჯეტი ასევე მომზადდა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კონფლიქტოლოგიისთვის, რომელიც თანდართულია სააკრედიტაციო პაკეტზე.

	დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა, რაც შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე შესაბამის აქტივობაში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. სადოქტორო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის (https://www.turnitin.com/) გამოყენებით. ამ მიზნით სადოქტორო ნაშრომის წინასწარ დაცვამდე, დოქტორანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს არაუმეტეს 10 სტუდენტისა. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურების გასაჩივრება შესაძლებელია უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად (დანართი №11). დისერტაციის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია დოქტორანტურაში სწავლის მთელ პერიოდში, რომელიც მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით. დისერტაციის თემის შეცვლა დასაშვებია სწავლის პირველი ოთხი სემესტრის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობით გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა შეუძლია თსუ-ს აფილირებულ აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი)/სამეცნიერო პერსონალს. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. დოქტორანტს ხელმძღვანელ(ებ)თან ერთად შეიძლება ყავდეს თანახელმძღვანელი, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა

	შეესაბამებოდეს დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 3 დოქტორანტს. გამონაკლის შემთხვევაში, სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 5 დოქტორანტს. სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას, რაც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდულ დაკვირვებას, დოქტორანტისთვის განმავითარებელი შეფასებისა და უკუკავშირის მიცემას. თანახელმძღვანელი მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. დოქტორანტის სამეცნიერო **ხელმძღვანელ(ებ)ს /თანახელმძღვანელს** და სადისერტაციო თემის სათაურს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში. შესრულებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობას. დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო

	თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში. **სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები:** ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამოყოფილ სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს/რეცენზენტებს დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტად ინიშნება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ სფეროში აქვს პუბლიკაციები. სადისერტაციო ნაშრომს აფასებს სამი რეცენზენტი, მათგან ერთი – უცხოელი. რეცენზენტი ვალდებულია, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დისერტაციის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და წარუდგინოს რეცენზია ფაკულტეტს. შემფასებელთა მიერ წარმოდგენილი რეცენზიები ბეჭდური და ელექტრონული ფორმით გადაეცემა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას. უცხოელი შემფასებლის რეცენზია უნდა იყოს თარგმნილი და დამოწმებული. თუ ორი რეცენზენტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტი დაცვაზე დაშვებული არ იქნება *(ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება, მუხლი 13).* **სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიაში შედიან შესაბამისი დარგის/სპეციალობის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები; ასევე, არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი დარგის/სპეციალობის მქონე პირი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უჭირავს აკადემიური თანამდებობა. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ შვიდი წევრისგან. ხოლო სააპელაციო კომისია - არანაკლებ 5 წევრისგან. დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახემძღვანელი და თემის რეცენზენტები არ შეიძლება იყვნენ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები ვალდებულნი არიან იცნობდნენ სადისერტაციო ნაშრომს, შემფასებელთა მიერ წარმოდგენილ დასკვნებს და შემოსულ

	გამოხმაურებებს. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი *(ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება, მუხლი 14).* დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PHD) ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ, ერთი თვის ვადაში, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. *დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კონფლიქტოლოგია“ შემუშავებულია აშშ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზის და გადაჭრის ინსტიტუტსა და აშშ დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრთან თანამშრომლობის და კონსულტაციების საფუძველზე, შესაბამისად, ამავე ინსტიტუტების პროფესორები ჩართულები იქნებიან სადოქტორო დისერტაციების რეცენზირებაში.*

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკულ მეცნიერებათა

მიმართულება: ინტერდისციპლინური

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კონფლიქტოლოგია

სწავლების საფეხური: მე-8

კრედიტების რაოდენობა: 35 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი გუგული მაღრაძე;

პროფესორი რევაზ ჯორბენაძე

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 20/03/2023; №24/2023 (დანართი № 257)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, ვადა და ბმული): № 54355; 29/12/2023 – 31/12/2028; https://eqe.ge/ka/deqars/1520/show
№ 119511 (აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღის ცვლილება) https://eqe.ge/ka/deqars/1538/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[8] ნომერი და თარიღი): №113/2024 – 09/09/2024; №141/2024 - 24/12/2024.

[8] https://www.tsu.ge/ka/legalakad

პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 35 კრედიტს (ECTS):													
სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი (ECTS)													
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა						სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
				საკონტაქტო			გამოცდის დრო	დამოუკიდებელი მუშაობა	სულ		შემოდგომის	გაზაფხულის	
				ლექცია	სემინარი/	პრაქტიკუმი							
1		კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები[9]	5	30	--	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იაგო კაჭკაჭიშვილი ნინო დურგლიშვილი ლია წულაძე დავით სვანაძე ხათუნა მაისაშვილი თეონა მატარაძე რევაზ ჯორბენაძე ალექსანდრე კუხიანიძე კორნელი კაკაჩია

[9] ამ კურსის გასავლელად მნიშვნელოვანია დოქტორანტს ჰქონდეს ცოდნა, რომელიც შეესაბამება მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამაში შემოთავაზებულ სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ გაწერილ კომპენტენციებს . თუ მას შესაბამისი კომპენტენცია არ გააჩნია, მაშინ ის შესაბამისი პროგრამის მაგისტრატურის საფეხურზე გადის ზემოხსენებულ კურსს და შემდეგ ირჩევს სასწავლო კურსს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში.

2		კონფლიქტოლოგია	5	30	30	-	6	59	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გუგული მაღრაძე რევაზ ჯორბენაძე ზურაბ აბაშიძე ლაშა ტუღუში ალექსანდრე კუხიანიძე ხათუნა მაისაშვილი გიორგი კვინიკაძე ზვიად აბაშიძე ზურაბ დავითაშვილი ვალერიან რამიშვილი ვახტანგ მაისაია
3		დარგობრივი სემინარი	15	--	--	--	--	375	375	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
4		პროფესორის ასისტენტობა	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ან შესაბამისი სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი
არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი (ECTS)													
1		სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების გაღრმავებული კურსი	5	30	15	-	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თეონა მატარაძე რევაზ ჯორბენაძე

2		სხვა არჩევითი სასწავლო კურსი (საქართველოს ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი შესაბამისი საფეხურის (დოქტორანტურის) სასწავლო კურსი)[10]	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	--
კვლევითი კომპონენტი													
1	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1												
2	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2												
3	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3												
4	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა												

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____ _____ _____ ფაკულტეტის ბეჭედი

[10] შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება, **დანართი №1,** განაცხადის ფორმა

სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი: _____

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა: _____

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური: _____

ა) საკვლევი თემა: _____

(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა.

(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები.

(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400

ხელმოწერა: _____ თარიღი: ____ _____ _____